<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

პროფესიული კავშირების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

1. ეს კანონი ადგენს პროფესიული კავშირების (პროფკავშირების) შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს, უფლებებსა და საქმიანობის გარანტიებს.

2. ეს კანონი აწესრიგებს:

ა) საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული კავშირების შექმნის, უფლებებისა და საქმიანობის გარანტიების რეალიზებასთან;

ბ) პროფესიული კავშირების, პროფესიული კავშირების გაერთიანებების (ასოციაციების) ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან (კავშირებთან, ასოციაციებთან), სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

მუხლი 2. პროფესიული კავშირების, პროფესიული კავშირების გაერთიანებების (ასოციაციების) შექმნის უფლება

1. პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

2. საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

3. პროფესიული კავშირი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და სხვა სამუშაო ადგილებზე.

4. თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგადასახადო, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში პროფესიული კავშირების შექმნის თავისებურებანი განისაზღვრება ამ ორგანოებისა და სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.

5. 15 წლის და მეტი ასაკის პირს (მუშაკს), ვინც ეწევა შრომით (პროფესიულ) საქმიანობას ან სწავლობს უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, უფლება აქვს შექმნას და შევიდეს პროფესიულ კავშირში, მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირულ საქმიანობაში და თავისუფლად გამოვიდეს პროფესიული კავშირიდან. დროებით უმუშევრებსა და პენსიონერებს შეუძლიათ დარჩნენ პროფკავშირის წევრებად.

6. პროფესიული კავშირი იქმნება დარგობრივი, საწარმოო, ტერიტორიული ან პროფესიული სპეციფიკის სხვა ნიშნის მიხედვით.

7. პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ შექმნან:

ა) პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სხვა სამუშაო ადგილებზე;

ბ) ეროვნული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული, რაიონული, საქალაქო, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანიზაციები და გაერთიანებები (ასოციაციები).

8. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) დასაფუძნებლად საინიციატივო (საორგანიზაციო) ჯგუფი იწვევს დამფუძნებელ კრებას (კონფერენციას, ყრილობას), რომელიც იღებს წესდებას და ირჩევს ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებს.

9. პროფესიული კავშირის დაფუძნება შეიძლება სულ ცოტა 5 0 პირის ინიციატივით.

10. ყველა პროფესიული კავშირი სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

მუხლი 3. ძირითადი ცნებები

1. დარგობრივი პროფესიული კავშირი – პროფესიული კავშირი, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ეროვნული მეურნეობის ერთი ან რამდენიმე მონათესავე დარგის საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მომუშავე პროფკავშირის წევრებს და მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. პროფესიული სპეციფიკის პროფკავშირი – პროფესიული კავშირი, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს ერთი ან სხვადასხვა დარგის საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში მომუშავე ერთი და იგივე პროფესიის მქონე პროფკავშირის წევრებს და მოქმედებს ერთი ან რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის ან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, რაიონული, საქალაქო, რეგიონული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროფესიული კავშირი ან პროფკავშირული ორგანიზაცია – პროფესიული კავშირი, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს ერთი პროფკავშირის წევრებს და მოქმედებს შესაბამისად ერთი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

4. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, რაიონული, საქალაქო, რეგიონული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) – პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია), რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს პროფესიულ კავშირებსა და/ან პროფესიული კავშირების გაერთიანებებს (ასოციაციებს) და მოქმედებს შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

5. პროფესიული კავშირების ეროვნული გაერთიანება (ასოციაცია)– პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია), რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს პროფესიულ კავშირებს და/ან პროფესიული კავშირების გაერთიანებებს (ასოციაციებს) და მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

6. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია – პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ნებაყოფლობით აერთიანებს ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავე პროფკავშირის წევრებს, მოქმედებს შესაბამისი პროფესიული კავშირის წესდებით და პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დებულებით.

7. პროფკავშირული ორგანო – ორგანო, რომელიც შექმნილია (არჩეულია) პროფესიული კავშირის წესდების, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) წესდების ან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის დებულების შესაბამისად.

8. პროფკავშირის კომიტეტი (პროფკომიტეტი) – პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ არჩეული პროფკავშირული ორგანო.

9. პროფორგანიზატორი (პროფჯგუფორგი) – პროფკავშირის წევრი, რომელიც არჩეულია იმ პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ, სადაც აღრიცხვაზე იმყოფება პროფკავშირის 15 წევრზე ნაკლები, და რომელიც მოქმედებს პროფკავშირის წევრთა კრების რწმუნებით.

10. დამსაქმებელი (სამუშაოს მიმცემი, დამქირავებელი) – ორგანიზაცია ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოდგენილია მისი ხელმძღვანელით (ადმინისტრაციით) ან ფიზიკური პირი, რომელთანაც მუშაკს (მომუშავეს) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (კონტრაქტი) შრომითი ურთიერთობის შესახებ.

11. მუშაკი – ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობს საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე ან ეწევა ინდივიდუალურ მეწარმეობას.

12. პროფკავშირის წევრი – ფიზიკური პირი (მუშაკი, დროებით უმუშევარი, პენსიონერი, სტუდენტი), რომელიც იზიარებს (ეთანხმება) პროფკავშირის წესდებას, ასრულებს მას და ირიცხება პროფკავშირულ ორგანიზაციაში.

13. პროფკავშირული მუშაკი – პროფკავშირის წევრი, რომელიც არჩეულია პროფკავშირულ ორგანოში ან მუშაობს ამ ორგანოში შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

14. კოლექტიური ხელშეკრულება – ხელშეკრულება დამსაქმებელს, საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პროფესიული კავშირის ორგანიზაციას შორის, რომელიც არეგულირებს მხარეთა შრომით, სოციალურ და პროფესიულ ურთიერთობებს.

15. დარგობრივი (სატარიფო) შეთანხმება – შეთანხმება აღმასრულებელი ხელისუფლების, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა (მეწარმეთა) შესაბამის ორგანოებს შორის,რომელიც არეგულირებს მხარეთა შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

16. გენერალური შეთანხმება – შეთანხმება საქართველოს მთავრობას, პროფესიული კავშირებისა და მეწარმეთა საერთო-ეროვნულ გაერთიანებებს შორის, რომელიც არეგულირებს მხარეთა შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

მუხლი 4. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) საქართველოს ყველა მოქალაქეზე და პროფესიული კავშირის წევრზე, საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შემთხვევებისა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახის საწარმოზე, დაწესებულებაზე, ორგანიზაციაზე, პროფესიულ კავშირზე, პროფესიული კავშირების გაერთიანებაზე (ასოციაციაზე);

გ) საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ საქართველოს პროფესიული კავშირების ორგანიზაციებზე.

მუხლი 5. პროფესიული კავშირის დამოუკიდებლობა

1. პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები(ასოციაციები) დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების),

პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, არ არიან მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი და არ ექვემდებარებიან მათ კონტროლს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. პროფესიული კავშირი არ ქმნის და არ მიეკუთვნება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას (გაერთიანებას).

მუხლი 6. პროფესიული კავშირის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და საკუთარი წესდებით.

2. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, დადგენილია ამ კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით დადგენილი წესები.

მუხლი 7. პროფესიული კავშირის წესდება, მისი რეგისტრაცია, იურიდიული პირის სტატუსი

1. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) მიზნებსა და ამოცანებს, წევრად მიღებისა და გასვლის წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, სტრუქტურას, უმაღლესი და ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციასა და უფლებამოსილების ვადებს, შემოსავლისა და ქონების შექმნის წყაროებსა და გამოყენების წესს, წესდებაში ცვლილებების შეტანის პირობებს, საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებს, სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და სამოქმედო ტერიტორიას, აგრეთვე მათთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს განსაზღვრავს მათი წესდებები კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიული კავშირისა და პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) წესდებები, წესდებებში ცვლილებები და დამატებები რეგისტრაციაში ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. რეგისტრაციას არ ექვემდებარებიან პროფესიული კავშირის რეგისტრირებული წესდების საფუძველზე მოქმედი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები.

4. პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) იურიდიული პირის სტატუსს მოიპოვებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით მათი წესდებების რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 8. სხვა ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან თანამშრომლობა

საქართველოს პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან, იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციათა წევრები, დადონ მათთან ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თუ ეს არ ეწინააღმდგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 9. პროფესიული კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) რეორგანიზაცია ხდება პროფესიული კავშირის წევრების (კრების, კონფერენციის, ყრილობის) გადაწყვეტილებით, საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ლიკვიდაცია ხდება:

ა) პროფესიული კავშირის წევრების (კრების, კონფერენციის, ყრილობის) გადაწყვეტილებით, საკუთარი წესდების შესაბამისად;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით – ამ კანონის ან საკუთარი წესდების დარღვევისას, ან კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობის გამო, მარეგისტრირებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

3. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

თავი II. პროფესიული კავშირის ძირითადი უფლებები

მუხლი 10. მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის უფლება

1. პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) იცავენ და წარმოადგენენ პროფკავშირის წევრთა შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს.

2. პროფესიულ კავშირებს, პროფესიული კავშირების გაერთიანებებს (ასოციაციებს) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის ორგანოებში შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების პროექტების წინასწარ განხილვაში, შეიმუშაონ ალტერნატიული წინადადებები.

3. პროფესიული კავშირი წარადგენს წინადადებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ცხოვრების დონის ძირითადი კრიტერიუმებისა და კომპენსაციების განსაზღვრის შესახებ.

4. პროფესიული კავშირი იცავს თავისი წევრების უფლებებს თავისუფლად გამოიყენონ შრომითი შესაძლებლობები, აირჩიონ პროფესია, მიიღონ შრომის სამართლიანი ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ოდენობით მაინც.

5. შრომის ნორმებს, შრომის ანაზღაურების სისტემებს, მატერიალური წახალისების ფორმებს, სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების ოდენობას კანონმდებლობის მიხედვით აწესებენ დამსაქმებლები, დამსაქმებელთა გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები), შესაბამისი პროფესიული კავშირების მონაწილეობით, რაც მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აისახება კოლექტიურ (სატარიფო) ხელშეკრულებებში (შეთანხმებებში).

6. პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) შეუძლიათ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების) და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების წინაშე მათ მიერ დაყენებული საკითხებისა და წინადადებების განხილვაში.

7. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ხელმძღვანელი ორგანოები მუშაკთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტერესებთან და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) გათვალისწინებულ პირობებში.

მუხლი 11. დასაქმებისადმი ხელშეწყობის უფლება

1. პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) მონაწილეობენ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის, საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან გამოთავისუფლებულ მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

2. დამსაქმებლები, დამსაქმებელთა გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები) წინასწარ – ორი თვით ადრე მაინც – აწვდიან ინფორმაციებს შესაბამის პროფესიულ კავშირებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან მუშაობის დროებით შეჩერების შესახებ, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას ან შრომის პირობების გაუარესებას, გამოთავისუფლებულ მუშაკთათვის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) დადგენილი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების განსახილველად წინადადებები მუშაკთა მასობრივ გამოთავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ვადების გადატანის ან დროებით შეჩერების თაობაზე.

4. პროფესიული კავშირი საზოგადოებრივ ზედამხედველობას უწევს დასაქმების მდგომარეობას.

5. დამსაქმებლის ინიციატივით მუშაკთან – პროფკავშირის წევრთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადაზე ადრე გაუქმება, შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით, შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. დაუშვებელია დამსაქმებლის მიერ მუშაკის დისკრიმინაცია პროფკავშირის წევრად ყოფნის ან არყოფნის გამო.

7. პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამუშაო ძალის უცხოეთის ქვეყნებიდან საქართველოში ორგანიზებული მოწვევის ან საქართველოდან ორგანიზებული გაყვანის საკითხების განხილვაში.

მუხლი 12. კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადებისა და შესრულებისადმი კონტროლის უფლება

1. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის), პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის არჩევითი ორგანოების უფლებამოსილი წარმომადგენლები შრომითი კოლექტივის სახელით აწარმოებენ მოლაპარაკებას დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების (კავშირის, ასოციაციის), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილ წარმომადგენლებთან, დებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და აკონტროლებენ მათ შესრულებას, ამ ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

2. დამსაქმებლები, დამსაქმებელთა გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები), აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ მოლაპარაკება პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, პროფესიულ კავშირებთან, პროფესიული კავშირების გაერთიანებებთან (ასოციაციებთან) შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, თუ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) გამოვლენ ასეთი ინიციატივით, და ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში დადონ კოლექტიური ხელშეკრულებები (შეთანხმებები).

მუხლი 13. კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება

1. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავის განხილვასა და გადაწყვეტაში შრომის კანონმდებლობისა და კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების პირობების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. პროფესიულ კავშირს მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით უფლება აქვს, კანონმდებლობის შესაბამისად, მოამზადოს და ჩაატაროს გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია და სხვა მასობრივი საპროტესტო აქცია.

3. პროფესიული კავშირის მიერ კანონმდებლობის დაცვით გაფიცვებისა და სხვა საპროტესტო აქციის ჩატარებისას აკრძალულია ნებისმიერი ფორმის საპასუხო ქმედება მათ ჩასახშობად.

მუხლი 14. ინფორმაციის მიღება და განხილვა

პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ მიიღონ და განიხილონ საწარმოთა ადმინისტრაციის, დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების (კავშირის, ასოციაციის), სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან თავისი საწესდებო საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფორმაცია შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 15. პროფკავშირული მუშაკის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება

პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) შეუძლიათ შექმნან სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ორგანიზაციები პროფკავშირული მუშაკების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფკავშირის წევრთა სწავლებისათვის.

მუხლი 16. შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი პროფკავშირული კონტროლის უფლება

1. პროფესიული კავშირი საზოგადოებრივ კონტროლს უწევს პროფკავშირის წევრთა მიმართ შრომის კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებებით (კონტრაქტებით) გათვალისწინებულ ღონისძიებათა, აგრეთვე დამსაქმებელთა სხვა ვალდებულებების შესრულებას, კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს მოსთხოვოს დამსაქმებელს ამ კანონის დარღვევის შემთხვევების აღმოფხვრა.

3. შრომის კანონმდებლობის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის მიზნით პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ შექმნან შრომის დაცვის სამსახურები (შრომის ტექნიკური, სამართლებრივი დაცვის მუშაკებისა და რწმუნებული ექიმების შემადგენლობით), რომლებიც იმოქმედებენ შესაბამისი პროფესიული კავშირის ან პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

4. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანებისა (ასოციაციისა) და მათი ორგანოების უფლებამოსილ წარმომადგენლებს შეუძლიათ შევიდნენ საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, სამუშაო ადგილებზე, სადაც პროფკავშირის წევრები მუშაობენ, შრომის

კანონმდებლობის, პროფესიული კავშირების, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონების, კოლექტიური, დარგობრივი (სატარიფო), გენერალური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 17. შრომისა და გარემოს დაცვაში მონაწილეობის უფლება

1. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის, პროფესიული დაავადებებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო პროგრამების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებაში და დააწესოს საზოგადოებრივი კონტროლი მათი განხორციელებისადმი.
2. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი ორგანოებისაგან შრომის პირობების ისეთი დარღვევების აღმოფხვრა, რომლებიც საშიშროებას უქმნიან მუშაკის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
3. პროფესიული კავშირი, მისი შრომის დაცვის სამსახურის მუშაკები, მონაწილეობენ საწარმოო ტრავმებისა და უბედური შემთხვევების გამოკვლევაში.
4. პროფესიული კავშირი უფლებამოსილია მოითხოვოს საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და დანადგარების დაპროექტებისას, მშენებლობისას და ექსპლუატაციაში მიღებისას მათი უსაფრთხოების შემოწმებაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის მიღება.

მუხლი 18. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციაში მონაწილეობის უფლება

პროფესიულ კავშირს, შრომითი კოლექტივის რწმუნებით, უფლება აქვს ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში შექმნილ სახელმწიფო საკუთრების საპრივატიზაციო კომისიებში კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. საწარმოთა მმართველობის კოლეგიალურ ორგანოებში მონაწილეობა

პროფესიულ კავშირს მუშაკთა, აქციონერთა, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლია ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები საწარმოს მმართველობის კოლეგიალურ ორგანოებში (სამეთვალყურეო საბჭოში, საკონსულტაციო საბჭოში და სხვა) კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. მუშაკთა ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის უფლება შრომითი დავის განმხილველ ორგანოებში

პროფესიულ კავშირს უფლება აქვს:

ა) პროფკავშირის წევრების შრომითი უფლებების დასაცავად, კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინოს სარჩელი, შეიტანოს განცხადება და გამოვიდეს სასამართლოში ან შრომითი დავის განმხილველ სხვა ორგანოებში;

ბ) გაუწიოს პროფკავშირის წევრებს სამართლებრივი დახმარება;

გ) შექმნას იურიდიული განყოფილებები და კონსულტაციები თავისი სტრუქტურების ფარგლებში.

მუხლი 21. პროფესიული კავშირის ურთიერთობა დამსაქმებელთან, დამსაქმებელთა გაერთიანებასთან (კავშირთან, ასოციაციასთან), აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა წარმომადგენლობით ორგანოებთან

1. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ურთიერთობა დამსაქმებელთან, დამსაქმებელთა გაერთიანებასთან (კავშირთან, ასოციაციასთან), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან რეგულირდება სოციალური პარტნიორობის საფუძველზე მათ შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ სხვა სოციალურ პარტნიორებთან ერთად, მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა სადაზღვევო შენატანების ხარჯზე შექმნილ სახელმწიფო ფონდების (კომპანიების) მართვაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან (კავშირებთან, ასოციაციებთან), სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთანთავისი საწესდებო ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში არსებული მშრომელთა სხვადასხვა წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოები არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ პროფესიული კავშირების კანონიერი საქმიანობის შესაზღუდავად.

5. სახელმწიფო ხელს უწყობს პროფესიულ კავშირებს წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაში.

თავი III. პროფესიული კავშირის უფლებათა გარანტიები

მუხლი 22. პროფესიული კავშირის ქონებრივი და საფინანსო უფლებების გარანტიები

1. პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) საკუთარი წესდების შესაბამისად ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ მიერ შექმნილ ქონებას და ფულად სახსრებს. პროფესიული კავშირის ქონება და ფულადი სახსრები ხელშეუხებელია. არავის არა აქვს უფლება განკარგოს, ჩამოართვას ან გადასცეს მისი ქონება და ფულადი სახსრები შესაბამისი პროფესიული კავშირის წესდებით გათვალისწინებული კოლეგიალური (არჩევითი) ორგანოს თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

2. პროფესიული კავშირის ფინანსური სახსრები იქმნება საწევრო ანარიცხების, ნებაყოფლობითი შენატანების, შემოწირულობების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საგამომცემლო, აგრეთვე სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობის შედეგად მიღებული თანხებისა და სხვა კანონიერი შემოსავლისაგან. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უცხოეთის ქვეყნებიდან მიიღოს ფულადი სახსრები და სხვა ქონება თავისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

3. პროფესიულ კავშირს საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს: საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, შენობა-ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, სამკურნალო, დასასვენებელი, კულტურის, განათლების, სპორტული, საბავშვო დაწესებულებები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება, რაც აუცილებელია მისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

4. პროფესიულ კავშირს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეწეოდეს სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობას მის მიერ დაფუძნებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საშუალებით.

5. სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად და არ შეიძლება განაწილდეს პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) წევრ-ორგანიზაციებს შორის.

6. პროფესიული კავშირი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების, ქონებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების წესსა და მიმართულებებს, მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრებიდან ადგენს პროფკავშირულ მუშაკთა ხელფასებსა და შრომის ანაზღაურების პირობებს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. პროფესიულ კავშირს შეუძლია მოაწყოს საქველმოქმედო ღონისძიებები, დააზღვიოს თავისი წევრები, ეწეოდეს სხვა ჰუმანიტარულ საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად.

8. პროფესიული კავშირი სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლიდან იხდის გადასახადებს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

9. საწევრო ანარიცხებიდან, ნებაყოფლობითი შენატანებიდან და შემოწირულობებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც ხმარდება პროფესიული კავშირების საწესდებო ამოცანების შესრულებას, არ იბეგრება.

10. პროფკავშირულ მუშაკებს ხელფასებზე სპეციალური ფონდების ანარიცხები დაერიცხებათ ისევე, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებს.

11. პროფესიული კავშირის საფინანსო საქმიანობა, განხორციელებული მისი წესდების შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების წინაშე ანგარიშგებას არ ექვემდებარება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და ფულადი სახსრების გამოყენების წესი განისაზღვრება მათი წესდებით კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 23. პროფესიული კავშირის ორგანოში არჩეული და ძირითად სამუშაოზე დასაქმებული პროფკავშირული მუშაკის დაცვის გარანტიები

1. მუშაკს, რომელიც არჩეულია პროფესიული კავშირის ორგანოში და გათავისუფლებული არ არის ძირითადი სამუშაოდან, შეიძლება მიეცეს წარმოებისაგან თავისუფალი დრო პროფკავშირული მოვალეობის შესასრულებლად და ხანმოკლე სწავლებისათვის (კვალიფიკაციის ამაღლებისათვის) კოლექტიური ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. მუშაკი, რომელიც არჩეულია პროფკავშირულ ორგანოში ან პროფკავშირული კონფერენციის, ყრილობის დელეგატად, თავისუფლდება საწარმოო საქმიანობისაგან ამ ორგანოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად კოლექტიური ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. დაუშვებელია დამსაქმებელთა ინიციატივით, შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, ძირითად სამუშაოზე დასაქმებული არჩევითი პროფკავშირული ორგანოს თავმჯდომარის, წევრის, პროფორგანიზატორისა და პროფჯგუფორგის სამუშაოდან დათხოვნა, სხვა სამუშაოზე გადაყვანა ან დისციპლინარული წესით დასჯა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 24. პროფკავშირულ ორგანოში არჩეული გათავისუფლებული პროფკავშირული მუშაკის დაცვის გარანტიები

1. მუშაკს, რომელიც გათავისუფლდა ძირითადი სამუშაოდან პროფკავშირულ ორგანოში არჩევის გამო, არჩევით თანამდებობაზე უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ ენიჭება

უპირატესი უფლება დაუბრუნდეს წინანდელ სამუშაოს (თანამდებობას) ან მიეცეს ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა).

2. პროფკავშირულ ორგანოში არჩეული მუშაკის დამსაქმებლის ინიციატივით დათხოვნა მისი არჩევითი უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ არ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. პროფკავშირულ ორგანოში არჩეულ გათავისუფლებულ პროფკავშირულ მუშაკს ამ ორგანოში მუშაობის დრო ჩაეთვლება საერთო შრომით სტაჟში.

4. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, პროფკავშირის კომიტეტში არჩეული მუშაკი, რომელიც გათავისუფლდა ძირითადი სამუშაოდან, კოლექტიური ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვრული პირობების თანახმად სარგებლობს ამ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შესაბამის მუშაკთათვის დაწესებული სოციალური და შრომითი უფლებებით.

მუხლი 25. დამსაქმებლის ვალდებულებები პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის პირობების შესაქმნელად

1. დამსაქმებლის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია, არსებული მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, შექმნას პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის საჭირო პირობები, გადასცეს პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას სამსახურებრივი სარგებლობისათვის სათავსები, მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე.

2. საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოქმედი პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის სხვა დამატებითი მატერიალური პირობების შექმნა რეგულირდება კოლექტიური ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

3. დამსაქმებელი, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, პროფკავშირის წევრ მუშაკთა პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე, ამ მუშაკთა ხელფასიდან ყოველთვიურად გადარიცხავს პროფკავშირულ საწევრო შენატანებს პროფესიული კავშირის ანგარიშზე კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

თავი IV. პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვა და პასუხისმგებლობა

მუხლი 26. პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქმეს პროფესიული კავშირისათვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების დარღვევის შესახებ განიხილავს სასამართლო.

მუხლი 27. პასუხისმგებლობა პროფესიული კავშირის უფლებათა დარღვევისათვის

1. ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას), პროფკავშირის კომიტეტს, პროფკავშირის წევრს უფლება აქვთ, კანონმდებლობის შესაბამისად, დასვან საკითხი ან შეიტანონ სარჩელი (საჩივარი) სასამართლოში იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არღვევენ ამ კანონს, პროფესიული კავშირების შესახებ სხვა სამართლებრივ

და ნორმატიულ აქტებს, არ ასრულებენ გენერალური, დარგობრივი (სატარიფო) შეთანხმებებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

მუხლი 28. პროფესიული კავშირის პასუხისმგებლობა

ამ კანონით, პროფესიული კავშირების შესახებ სხვა სამართლებრივი და ნორმატიული აქტებით, გენერალური, დარგობრივი (სატარიფო) შეთანხმებებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობილი მასობრივი საპროტესტო აქციების მომზადებისა და ჩატარებისათვის პროფესიული კავშირის და მისი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 29. გარდამავალი დებულება

2019 წლის 3 ივნისამდე, პროფესიული კავშირი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საწარმოო ობიექტების, მექანიზმების, ხელსაწყო-დანადგარებისა და ინსტრუმენტების უსაფრთხოების ექსპერტიზაში მათი დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღებისას.

მუხლი 30. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.
2. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან.
3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, №15-16, 26 აპრილი, 1997, გვ. 6).

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**